

შპს „ეკოკემიკა სერვის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები რეალიზაციიდან	9
6. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	9
7. თვითღირებულება	9
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
9. კომერციული ხარჯები	9
10. ძირითადი საშუალებები	10
11. მარაგები	11
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
13. საგადასახადო აქტივი	11
14. ფული და ფულის ექვივალენტები	11
15. საწესდებო კაპიტალი	11
16. მიღებული სესხები	12
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12

შპს “ეკოკემიკა სერვის ჯგუფი”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022 (არააუდიტირებული)	2021 (არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	3,353,688	2,976,017
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	6	132,181	35,526
თვითღირებულება	7	(2,470,678)	(2,086,282)
საერთო მოგება		1,015,191	925,261
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(604,766)	(522,539)
კომერციული ხარჯები	9	(76,896)	(127,474)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		61,821	126,760
სხვა საოპერაციო ხარჯი		(17,546)	(17,651)
საოპერაციო მოგება		377,804	384,357
საპროცენტო ხარჯი		(38,675)	(51,721)
მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		62,891	43,047
მოგება დაბეგვრამდე		402,020	375,683
მოგების გადასახადი		(1,208)	-
წლის სრული მოგება		400,812	375,683

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 12 სექტემბერს:

ალექსანდრე მეტრეველი
დირექტორი

შპს "ეკოკემიკა სერვის ჯგუფი"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022 (არააუდიტირებული)	2021 (არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	3,353,688	2,976,017
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	6	132,181	35,526
თვითღირებულება	7	(2,470,678)	(2,086,282)
საერთო მოგება		1,015,191	925,261
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(604,766)	(522,539)
კომერციული ხარჯები	9	(76,896)	(127,474)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		61,821	126,760
სხვა საოპერაციო ხარჯი		(17,546)	(17,651)
საოპერაციო მოგება		377,804	384,357
საპროცენტო ხარჯი		(38,675)	(51,721)
მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		62,891	43,047
მოგება დაბეგვრამდე		402,020	375,683
მოგების გადასახადი		(1,208)	-
წლის სრული მოგება		400,812	375,683

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 12 სექტემბერს:

ალექსანდრე მეტრეველი
დირექტორი



შპს “ეკოკემიკა სერვის ჯგუფი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2021 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	2,303,718	822,797
არამატერიალური აქტივები		16,615	14,643
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,320,333	837,440
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	1,696,597	1,133,695
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	497,066	493,513
საგადასახადო აქტივი	13	95,471	2,045
ფული და ფულის ექვივალენტები	14	486,198	89,708
სულ მიმდინარე აქტივები		2,775,332	1,718,961
სულ აქტივები		5,095,665	2,556,401
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	226,137	242,372
გაუნაწილებელი მოგება	15	1,841,318	1,443,348
სულ კაპიტალი		2,067,455	1,685,720
გრძელვადიანი სესხები			
გრძელვადიანი სესხები	16	2,248,651	343,355
სულ გრძელვადიანი სესხები		2,248,651	343,355
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	16	594,500	347,213
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	185,059	180,113
სულ მიმდინარე ვალდებულებები		779,559	527,326
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5,095,665	2,556,401

შპს “ეკოკემიკა სერვის ჯგუფი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2020	221,201	1,245,689	1,466,890
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	21,170	-	21,170
მიმდინარე პერიოდის სრული მოგება	-	375,683	375,683
დივიდენდის გამოცხადება	-	(178,023)	(178,023)
31 დეკემბერი 2021	242,371	1,443,349	1,685,720
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	(16,235)	-	(16,235)
მიმდინარე პერიოდის სრული მოგება	-	400,812	400,812
დივიდენდის გამოცხადება	-	(2,842)	(2,842)
31 დეკემბერი 2022	226,136	1,841,319	2,067,455

შპს „ეკოკემიკა სერვის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ეკოკემიკა სერვის ჯგუფი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2014 წლის 24 ივლისი და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405055835.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტომობილების სარეცხი საშუალებების წარმოება და რეალიზაცია, ამასთან კომპანიას საკუთრებაში აქვს ავტოსამრეცხაოები. 2022 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 16 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, უშანგი ჩხეიძის ქ., N 20, კომერციული ფართი, N 1.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეები არიან:

მიხეილ გოგბერაშვილი - 25%

ალექსანდრე მეტრეველი - 25%

არტურ ხაჩატრიან - 50%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა	70
ნაგებობა	25
მანქანა-დანადგარები	3-15
ოფისის აღჭურვილობა	5-15
სატრანსპორტო საშუალებები	8-15
სხვა ძირითადი საშუალებები	3-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სააღრიცხვო პროგრამები	10

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს “ეკოკემიკა სერვის ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები რეალიზაციიდან სრულად წარმოადგენს კომპანიის მიერ იმპორტირებული/წარმოებული ავტომობილების სარეცხი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

6. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოებიდან მიღებულ შემოსავლებს.

7. თვითღირებულება

	2022	2021
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	(2,263,945)	(1,887,845)
კომუნალური ხარჯები	(76,286)	(60,492)
საიჯარო ხარჯი	(69,682)	(52,942)
შრომის ანაზღაურება	(33,872)	(58,138)
ცვეთა და ამორტიზაცია	(22,607)	(18,870)
სხვა ხარჯი	(4,286)	(7,995)
სულ თვითღირებულება	(2,470,678)	(2,086,282)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(460,988)	(356,543)
საკონსულტაციო ხარჯები	(32,131)	(31,600)
სამეურნეო ხარჯი	(18,142)	(20,092)
ბანკის ხარჯი	(17,902)	(13,120)
საგადასახადო ხარჯი	(16,419)	(34,974)
საპენსიო ხარჯი	(10,301)	(8,570)
ცვეთა და ამორტიზაცია	(7,838)	(6,307)
დაზღვევის ხარჯი	(3,943)	(1,826)
კომუნალური ხარჯები	(3,082)	(5,676)
საოფისე ხარჯი	(1,263)	(2,420)
მივლინების ხარჯები	(1,152)	(2,014)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(31,605)	(39,397)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(604,766)	(522,539)

9. კომერციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(25,738)	(62,487)
მარკეტინგის ხარჯი	(15,907)	(27,777)
საწვავის ხარჯი	(12,664)	(25,058)
ტრანსპორტირების ხარჯი	(11,990)	(1,444)
ცვეთა და ამორტიზაცია	(10,597)	(10,708)
სულ კომერციული ხარჯები	(76,896)	(127,474)

შპს “ეკოკემიკა სერვის ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2020	-	-	572,166	30,842	39,191	32,961	119,149	794,309
შემოსვლა წლის განმავლობაში	108,500	22,226	-	11,360	6,993	22,100	-	171,179
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	108,500	22,226	572,166	42,202	46,184	55,061	119,149	965,488
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	1,413,692	51,217	41,883	3,965	-	9,630	1,520,387
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	108,500	1,435,918	623,383	84,085	50,149	55,061	128,779	2,485,875
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი, 2020	-	-	(21,968)	(25,686)	(12,775)	(26,918)	(20,150)	(107,497)
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	(13,505)	(2,417)	(4,678)	(2,751)	(11,843)	(35,194)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	(35,473)	(28,103)	(17,453)	(29,669)	(31,993)	(142,691)
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	(12,805)	(15,088)	(3,300)	(3,488)	(4,785)	(39,466)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	(48,278)	(43,191)	(20,753)	(33,157)	(36,778)	(182,157)
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	108,500	22,226	536,693	14,099	28,731	25,392	87,156	822,797
31 დეკემბერი 2022	108,500	1,435,918	575,105	40,894	29,396	21,904	92,001	2,303,718

შპს “ეკოკემიკა სერვის ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მზა პროდუქცია	1,015,962	689,105
ნედლეული და მასალები	647,830	411,788
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	32,805	32,802
სულ მარაგები	1,696,597	1,133,695

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გადახდილი ავანსები	323,917	374,112
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	158,659	117,727
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14,490	1,674
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	497,066	493,513

13. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	409,791	67,172
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	69,852	20,362
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	5,885	223
ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	670	1,951
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	486,198	89,708

15. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2022 წლის ბოლოს შეადგენს 226,137 ლარს. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და განაწილების წესს.

2022 წლის განმავლობაში კომპანიაში გამოცხადდა და გაიცა დივიდენდი 2,842 ლარის ოდენობით (2021:178,022).

შპს “ეკოკემიკა სერვის ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები ეროვნულ ვალუტაში	ლარი	რეფინანსირების განაკვეთს + 4%	2,018,164	54,787
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები უცხოურ ვალუტაში	ევრო	7%	230,487	-
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები უცხოურ ვალუტაში	დოლარი	5.5%-6%	-	288,568
სულ გრძელვადიანი სესხები			2,248,651	343,355

მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები ეროვნულ ვალუტაში	ლარი	რეფინანსირების განაკვეთს + 4%	243,048	11,229
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები უცხოურ ვალუტაში	ევრო	7%	351,452	315,472
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები უცხოურ ვალუტაში	დოლარი	5.5%-6%	-	20,512
სულ მოკლევადიანი სესხები			594,500	347,213

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული ავანსები	107,699	71,168
სავაჭრო ვალდებულებები	77,360	87,376
გადასახდელი ხელფასები	-	21,569
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	185,059	180,113